


K98.583
3

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



K 98.583
3

III. ԿԱՐԵՎԱՐԱՐ

ღვინის ღავარგვებისა და
ღამველების ღროს
მიმღინარე გარღაფმნები




თ. კარელავი

663.2
საქართველოს
სამართლის
სამსახურის
მუნიციპალიტეტი

ქვების დაცაგებისა და დაწვერების გარე მიმღებისა და გარეჭმები

K 98.583
3



სახელმწიფო გამოცემობა

„საბჭოთა საქართველო“

თბილისი—1961

პ ვ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

ღვინო რთული შემადგენლობის ბიოლოგიურ სითხეს წარ-
 მოადგენს, რომელიც ყურძნის წვენის ფიზიკური, ქიმიური,
 ფიზიკურ-ქიმიური და ბიოქიმიური გარდაქმნების შედეგად
 წარმოიქმნება. ენოლოგები ღვინოს ცოცხალ არსებას ადარე-
 ბენ, რომელიც იბადება, ვითარდება და კვდება. და მართ-
 ლაც, თუ ჩვენ დავუკვირდებით ღვინის განვითარების სტა-
 დიებს, ზუსტად იგივე საფეხურებს შევამჩნევთ, რაც ცოცხალ
 ორგანიზმისათვისაა დამახასიათებელი.

ღვინოში მიმდინარე გარდაქმნებს შემდეგ სტადიებად
 ჰყოფენ: ღვინის წარმოქმნა, ფორმირება, დაფარება, დაძვე-
 ლება და დაშლა.

ღვინის განვითარების სტადიებში მიმდინარე გარდაქმნები
 დღეისათვის საქმაოდ არის შესწავლილი საბჭოთა და საზ-
 ღვარგარეთელი მეცნიერების მიერ. აღნიშნული საკითხების
 საფუძვლიანად შესწავლა ეხმარება მეღვინეებს სურვილისა-
 მებრ წარმართონ ღვინის დამუშავების ტექნოლოგიური პრო-
 ცესები და უზრუნველყონ მაღალხარისხოვანი პროდუქციის
 მიღება. ამ თვალსაზრისით ინტერესმოქლებული არ არის იმ
 გარდაქმნების განხილვა, რომლებიც ღვინის განვითარების
 სხვადასხვა სტადიებში მიმდინარეობს.

ღვინის წარმოქმნის დროს მიმღიცარები გარდამშვიდი

ღვინის წარმოქმნა ყურძნის დაჭილებისა და ტკბილის ალკოჰოლური დუღილის დაწყებისთანავე იწყება. ალკოჰოლური დუღილის შედეგად მიღებული ღვინო მეტად რთულ პროდუქტს წარმოადგენს. ტკბილის შემადგენელი ნივთიერებანი, თავიანთი ქიმიური ბუნების სხვადასხვაგვარობის გამო, სხვადასხვაგვარად მონაწილეობენ ალკოჰოლური დუღილის პროცესში. ტკბილის ქიმიურ შემადგენლობაში ყველაზე შესამჩნევ ცვლილებას ალკოჰოლური დუღილის დროს წარმოადგენს შაქრის კონცენტრაციის შემცირება და სპირტის კონცენტრაციის გაზრდა, რის შედეგადაც მკვეთრად იცვლება ახალგაზრდა ღვინის ფიზიკური მდგომარეობა. როგორც ცნობილია, შაქრის ხვედრითი წონა უფრო მაღალია, ვიდრე სპირტისა —პირველი დაახლოებით 1,54-ის ტოლია, მეორე კი 0,79-ს უდრის. ამის გამო, ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ღვინის ხვედრითი წონა, თუ შაქარი მთლიანად დაღულებულია, 1,09-დან 0,99-მდე ეცემა. ამასთან ერთად იცვლება ღვინის სხვა ფიზიკური კონსტანტებიც.

ალკოჰოლური დუღილის შედეგად სპირტის კონცენტრაციის გაზრდა იწვევს ღვინოში არსებული ღვინომჟავა კალიუმის მარილის (ღვინის ქვა) გამოლექვას, რომელიც ღვინიდან კრისტალების სახით გამოიყოფა.



პროფესორმა გ. ზ. ლვალაძემ მოგვცა ცხრილი, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს ღვინომჟავა კალიუმის მარილის ნენა-დობაზე ალკოჰოლსა და წყალში (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ღვინის ქვის ხსნადობა 100 სმ³ სითხეში

t°	წყალში	ალკოჰოლში		
		10%	20%	30%
10°	0,41	0,21	0,16	0,09
15°	0,44	0,24	0,16	0,09
20°	0,49	0,29	0,17	0,11
25°	0,54	0,36	0,21	0,12
30°	0,69	0,40	0,25	0,13

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტემპერატურის კლება და ალკოჰოლის მომატება საგრძნობლად ამცირებს ღვინომჟავა კალიუმის მარილის ისნადობას.

სწორედ ამის გამო ხდება ახალგაზრდა ღვინიდან ღვინის ქვის გამოყოფა. ტემპერატურის დაწყებული ღვინომჟავა კალიუმის მარილის გამოლექვა ხანგრძლივი დროის განმავლობაში გრძელდება მზა ღვინოშიც და ზოგჯერ ღვინის ამლვრევასაც იწვევს. ღვინიდან ღვინომჟავა კალიუმის მარილის გამოლექვის შედეგად მცირდება ღვინის ტიტრული მჟავიანობა. სამაგიეროდ, ალკოჰოლური დუღილის შედეგად წარმოიქმნება ახალი მჟავები (ძმრის, ქარვის, რძის ჩევები), რომლებიც არევულირებენ ღვინომჟავა კალიუმის გამოლექვის შედეგად დაწეულ მჟავიანობას და ზოგჯერ აღიდებენ კიდეც მას.

ალკოჰოლური დუღილის შედეგად ღვინის ტიტრული მჟავიანობის ცვალებადობა დამოკიდებულია ტემპერატურის საწყის ტიტრულ მჟავიანობაზე, რაც ნათლად ჩანს მე-2 ცხრილიდან.



ორგანულ მჟავათა ცვალებაზობა ლიკონში ალკოჰოლური და წყლის
შედეგად (ჯიში ჩინური) ა. კ. როდოპულას მიხედვით

ვარიაციები	pH	ტიტრული მჟავა- ნის ლიკინს ტუ- ნის განვითარე- ბებით, გლ./ლ.	მ ჟ ა ვ ე ბ ი, გრ./ლ					
			ლიკინს	ვაშლის	ლიმონის	ქარვის	რძის	მუსი-მუნაკა
ტექნიკური სიმწიფის ყურძნიდან შილებული ტკბილი	3,0	10,4	6,55	3,06	0,320	0,105	—	0,0·5
ლვანო . . .	3,1	9,5	5,8	2,16	0,450	0,660	0,350	0,053
ფიზიოლო- გიურ სიმ- წიფის ყურ- ძნიდან ში- ლებული ტკბილი .	3,2	6,5	4,4	1,45	0,220	0,025	—	0,055
ლვინო . .	3,2	7,4	4,3	1,05	3,350	0,750	0,480	0,0·6

როგორც ცხრილიდან ჩანს, მაღალი ტიტრული მჟავიანობის მქონე ტკბილის ($10,4\%$) დადუღების შედეგად ადგილი აქვს ტიტრული მჟავიანობის რამდენადმე შემცირებას ($9,5\%$), ხოლო რაც შეეხება დაბალი ტიტრული მჟავიანობის მქონე ტკბილს ($6,5\%$), მისი დადუღების შედეგად ხდება ტიტრული მჟავიანობის გაზრდა ($7,4\%$). ამასთან, როგორც ამავე ცხრილიდან ჩანს, შეორე შემთხვევაში ტიტრული მჟავიანობის გაზრდა ხდება ახლად წარმოქმნილი ქარვისა და რძის მჟავების ხარჯზე. ტკბილის pH-ის ცვლილება ალკოჰოლური დუღილის შედეგად უმნიშვნელოა.

ტკბილის ალკოჰოლური დუღილის შედეგად, დუღილის



შირითად პროდუქტებთან სპირტსა და CO_2 -თან (ნახულებრივად ჟანგი), ერთად წარმოიქმნება ღულილის თანმდევი პროდუქტებიც—გლიცერინი, რძისა და ქარვის მჟავები, ძმარმჟავა ალეპილლი, ძმარმჟავა და სხვა პროდუქტები, რომლებიც ღვინის აუცილებელი შემადგენელი ელემენტებია.

ტკბილიდან ზოგიერთი ნივთიერება უცვლელად გადადის ღვინოში. ეს ნივთიერებებია: წყალი, რომელიც მთელი ტკბილის 80%-ს შეადგენს, კალიუმის, ნატრიუმის, კალციუმის, მაგნიუმის, რკინის, ალუმინისა და აგრეთვე სხვა ლითონების მარილები, რომლებიც წარმოიქმნებიან აღნიშნული ლითონების ურთიერთქმედებით ტკბილში არსებულ მჟავებთან (ღვინის, ვაშლის, ფოსფორის და სხვა მჟავები).

ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შედეგად მიიღება ახალგაზრდა ღვინო და იწყება მისი ფორმირება.

ღვინის ფორმირების დროს მიმღინარე გარდაშვილი

ღვინის ფორმირება მოიცავს ყველა იმ ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ გარდაქმნებს, რომელიც ღვინოში ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ იწყება და ღვინის ჰირველი გადაღების მომენტისათვის მთავრდება. იმ დროისათვის საფურვები ღვინიდან იღებება და ღვინო იწმინდება. ღვინის ფორმირების დროს მიმღინარეობს შემდეგი გარდაქმნები:


1. ღვინოში არსებული ვაშლმჟავას და შლა

ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ ღვინოში იწყება ვაშლ-რძემჟავა დუღილი, რომლის განვითარებაც დამკიდებულია ახალგაზრდა ღვინის ტემპერატურაზე, ღვინოში SO_2 -ის (გოგირდოვანი გაზი) რაოდენობაზე და ღვინის სიმაგრეზე.


ვაშლ-რძემჟავა დუღილის ქიმიზმი შემდეგში მდგომარეობს: I ვაშლმჟავა დიფოსფობირიდინნუკლეოტილის (DPN) და მანგანუმის იონების (რომლებიც არაორგანული კატალიზატორის როლს ასრულებენ) თანაარსებობისას გარდაიქმნება



მეუნდმარმეულ, ხოლო ეს უკანასკნელი კი პირობულერები მეულ:



პიროვნულძენმჟავა, წაართმევს რა აღდგენილ დიფოსფო-პირიდინნუკლეოტიდს ($DPNH_2$) წყალბადს, აღსდგება რძე-მჟავად, ხოლო დაფანგული DPN კვლავ უერთდება ახალ მო-ლეკულა ვაშლმჟავას და რეაქცია მეორდება:



მეღვინეთა შორის გაბატონებულია აზრი, რომ ვაშლ-რძე-
მჟავა დუღილის დროს ხდება ვაშლმჟავას დეკარბოქსილირე-
ბა და მიიღება რძემჟავა. ეს შეხედულება სწორი არ არის,
რადგანაც დღემდის აღმოჩენილი არ არის შესაბამისი ფერ-
მენტი.

გაშლ-რძემუვა დუღილს იწვევენ მთელი რიგი მიკრობრ-განიზმები, რომელთაგან ყველაზე გაფრცელებული და მნიშვნელოვანია *Bacterium gracile*.

რძემუავა ბაქტერიების ჯგუფში შედიან ისეთი მიკროორგანიზმებიც, რომლებიც იწვევენ ღვინოში არსებული შაქრის, გლიცერინისა და ღვინომუავას დაშლას და ამრიგად წარმოადგენენ ღვინის საშიშ დაავადებათა სტიმულატორებს. ამ მიკროორგანიზმების მოქმედების შედეგად ღვინოში გროვდება მქროლავი მუავები და ღვინო მუავე კომბინატოს გემოს იძენს. რაც შეეხება ვაშლ-რძემუავა დუღილის გამომწვევ



შიკროორგანიზმებს, ისინი არ შლიან ღვინოში არსებულ ჭრის უფლებას. ცერინსა და ღვინომჟავას და არ იწვევენ ღვინის დავადებას. ისინი ორთუმიან ვაშლმჟავას გარდაქმნიან ერთოფუძიან რძე-მჟავად, რასაც თან სდევს CO_2 -ის გამოყოფა. ეს მოვლენა იწვევს ღვინის ტიტრული მჟავიანობის შემცირებას.

როგორც ცნობილია, რძემჟავა უფრო ნაკლებ დისოცირებული მჟავაა, ვიდრე ვაშლმჟავა, ამიტომ ვაშლ-რძემჟავა ღულილის შედეგად რამდენადმე იზრდება ღვინის pH .

თუ ახალგაზრდა ღვინოში დიდი რაოდენობით არის ვაშლმჟავა (2 გრ./ლ), მაშინ ღვინო ხასიათდება მკვეთრი სიმჟავით, რასაც მეღვინეები მწვანე სიმჟავეს უწოდებენ. ეს უკანასკნელი აქვეითებს ღვინის ხარისხს; ხოლო როდესაც ვაშლმჟავა ლიტრ ღვინოში შეადგენს 0,7—0,8 გრ.-ს, მაშინ ღვინო მოკლებულია ნორმალურ მჟავე გემოს; ვაშლმჟავას საუგეოთსო რაოდენობად ღვინოში ითვლება 1,3—1,8 გრ./ლ. აქედან გასავებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინისათვის ვაშლ-რძემჟავა ღულილს.

ვაშლ-რძემჟავა ღულილის შედეგად ვაშლმჟავას ხარჯზე წარმოქმნილი რძემჟავა არბილებს ღვინის გემოს და უფრო ჰარმონიულს ხდის მას. მწვანე მჟავიანობით განსაკუთრებით ხასიათდებიან ჩრდილოეთის რაიონების ღვინოები, რაც შეეხება სამხრეთის რაიონების ღვინოებს, მათში ვაშლმჟავა უფრო ნაკლები რაოდენობით არის და ამიტომ, ბევრ შემთხვევაში, უნდა ვებრძოლოთ ვაშლ-რძემჟავა ღულილის შედეგად ღვინის ტიტრული მჟავიანობის დაწევას.

ზოგიერთი მეღვინის აზრით, განსაზღვრული რაიონებისა და ტიპის ახალგაზრდა ღვინისათვის ისევე აუცილებელია ვაშლ-რძემჟავა ღულილი, როგორც ალკოჰოლური ღულილი. ამის გამო ამჟამად წარმოებს მუშაობა ვაშლ-რძემჟავა ღულილის გამომწვევი ბაქტერიების სუფთა კულტურების გამოსაყოფად. ვაშლ-რძემჟავა ღულილის გამომწვევი ბაქტერიების შეტანა ღვინოში აჩქარებს ვაშლმჟავას რძემჟავად გარდაქმნის პროცესს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში სასურველია, რადგანაც სიცივეების დადგომის გამო აღნიშნული ღულილი ჩერდება და ღვინის ჩამოსხმის შემდეგ ხდება მისი ამღვრევა.



ვაშლ-რძემჟავა დუღილის გამომწვევი მიკროორგანიზმების ნორმალური მოქმედებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპერატურას. საუკეთესო პირობებად ითვლება $18-25^{\circ}$. 17° -ს ქვეით ვაშლ-რძემჟავა დუღილის ინტენსივობა თანდათან მცირდება. ხელსაყრელ ტემპერატურულ პირობებში ვაშლ-მჟავას გარდაქმნა რძემჟავად რამოდენიმე დღეში მთავრდება, რასაც თან სდევს CO_2 -ის გამოყოფა. გამოუცდელი მეღვინეები ამ დროს CO_2 -ის გამოყოფას ღვინოში დარჩენილი შაქრის დაღულებას მიაწერენ.

ღვინოში არსებული SO_2 აფერხებს ვაშლ-რძემჟავა დუღილის ნორმალურ მსვლელობას. ავსტრიული მეცნიერის ფორანშონის მონაცემებით 120 მგ/ლ-ზე ნაკლები რაოდენობით SO_2 -ის შემცვლელი ღვინოების 61%, ხასიათდებოდა ვაშლ-რძემჟავა დუღილით, 120—150 მგ/ლ SO_2 -ის შემცველობის შემთხვევაში—38%, ხოლო როდესაც ღვინოში 150 მგ/ლ-ზე მეტი SO_2 იყო, ვაშლ-რძემჟავა დუღილით ხასიათდებოდა ღვინოების 21%.


ვაშლ-რძემჟავა დუღილის ნორმალური მსვლელობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ღვინის სიმაგრეს. ღვინოებში, რომლებიც $15^{\circ}/\text{v}-\text{v}$ მეტი რაოდენობის ალკოჰოლს შეიცავენ, ვაშლ-რძემჟავა დუღილის ბაქტერიები ვერ მოქმედებენ, ამიტომ, ბუნებრივია, შემაგრებულ ღვინოებში მისი მიმღინარეობა შეუძლებელია.

ვაშლ-რძემჟავა დუღილზე გავლენას ახდენს აგრეთვე ღვინის pH. როგორც ვიცით, ღვინის pH 2,7—3,7 შორის მერყეობს. როდესაც pH=3, მაშინ ვაშლ-რძემჟავა დუღილს ადგილი არა აქვს, ხოლო pH=3,1 შემთხვევაში იგი ნელა მიმღინარეობს და თანდათან იზრდება pH-ის გაზრდასთან ერთად. იგი ოპტიმუმს აღწევს, როდესაც pH=4. ღვინოში ვაშლ-რძემჟავა დუღილი ნორმალურად მიმღინარეობს, როდესაც ღვინის pH 3,3—3,4 შორის მერყეობს.

ვაშლ-რძემჟავა დუღილთან ერთად მიმღინარეობს ლომონჟავას დუღილიც. ღვინოში ხდება ლიმონმჟავას დაჭანგ-



ვით დეკარბოქსილირება, რაც იწვევს ლიმონ-ვაშლიუას ურუზული მოქნა:



ლიმონმჟავა

ლიმონ-ვაშლმჟავა

ლიმონ-ვაშლმჟავა ღვინის საერთო მჟავიანობის 20% -ს შეადგენს. ვაშლ-რქემჟავა დუღილის დამთავრების შემდეგ საჭიროა ღვინის სულფიტაცია, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასასურველი მიკრობიოლოგიური პროცესები.

2. ღვინიდან CO_2 -ის გამოყოფა

ტქბილის ალკოჰოლური დუღილის შედეგად გამოყოფილი CO_2 -ის ნაწილი იხსნება ღვინოში. ღვინის მიერ ალკოჰოლური დუღილის დროს გამოყოფილი CO_2 -ის შთანთქმის უნარიანობაზე გავლენას ახდენს ტემპერატურა და ღვინის შემადგენლობა.

ღვინის მიერ CO_2 -ის შთანთქმის უნარიანობის დასახასიათებლად მიღებულია შთანთქმის უნარიანობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა რაოდენობის CO_2 ლიტრობით შეიძლება გაიხსნას ერთ ლიტრ ღვინოში, როდესაც წნევა არის 1 ატმოსფერო.

რაც უფრო დაბალია ღვინის ტემპერატურა, მით უფრო მაღალი შთანთქმის უნარიანობის კოეფიციენტით ხასიათდება იგი. ღვინოში სპირტის კონცენტრაციის გაზრდა ამცირებს მასში CO_2 -ის ხსნადობას. ასეთივე გავლენას ახდენს აგრეთვე შაქარიც.

ღვინის ფორმირების სტადიაში ღვინოში გახსნილი CO_2 კვლავ გამოიყოფა, რომლის ინტენსიობაც დამოკიდებულია ტემპერატურაზე: რაც უფრო მაღალია ღვინის ტემპერატურა, მით უფრო ენერგიულად ხდება CO_2 -ის გამოყოფა. CO_2 -ის გამოყოფის შედეგად მცირდება ღვინის პარენის ჟანგბადთან კონტაქტი, რის გამოც ღვინის ფორმირების პერიოდში დაშანვითი პროცესები ნაკლებ ინტენსიურად მიმდინარება.

3. საფუვრების გამოლეჭვა

ალკოჰოლური დუღილის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ღვინო წყნარდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი კვლავ ამღვრეული რჩება. თუ ტკბილი ჯანსაღი ყურძნიდან იყო მიღებული და ალკოჰოლური დუღილი ნორმალურად მიმდინარეობდა, მაშინ ღვინოში შეწონილი ნაწილები და საფუვრები 2—3 კვირის შემდეგ გამოილექება ჭურჭლის ფსკერზე საკმაოდ მკერივი ნალექის სახით, ხოლო ღვინო კი სრულიად გამჭვირვალე ხდება. პრაქტიკულად ამ შემთხვევაში საჭიროა ღვინის განხილვა საფუვრების ლექიდან, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევებში კი მიზანშეწონილია ღვინის ლექზე გაჩერება უფრო ხანგრძლივი დროით. ასე, მაგალითად, აღრეული რთველის შედეგად მიღებული ღვინოები, რომლებიც დაბალგრადუსიანი და მსუბუქი დგება, უფრო აღრეისნება საფუვრების ლექიდან, ვიდრე გვიან რთველის შედეგად მიღებული ღვინოები, რომლებიც უფრო სხეულიანი და მაღალალკოჰოლიანია. ზოგჯერ საფუვრების ლექზე ხანგრძლივი დროით გაჩერების შედეგად ღვინო იძენს არასასიამონო საფუვრების ტონს. ამის გამო მეღვინეების უმრავლესობა საფუვრების ლექზე ღვინის ხანგრძლივი დროით გაჩერებას უარყოფს. თუმცა ამ მოვლენას დადებითი მნიშვნელობა აქვს შამპანური ღვინოების წარმოებაში. უკანასკნელ დროს დამტკიცებულ იქნა, რომ ბოთლური წესით დამზადებული შამპანურის სპეციფიური ბუკეთი და ხანგრძლივი ცქრიალი საფუვრების ლექზე ღვინის ხანგრძლივ გაჩერებასთან არის დაკავშირებული.

4. ღვინის მიერ საფუვრების ცილოვანი ნივთიერებების პროტეოლიტური დაშლის პროდუქტების—ამიდების, ორგანული ფუძეებისა და ამინომჟავების—შეთვისება

ალკოჰოლური დუღილის შემდეგ, ღვინის დაშენდისა და მისი საფუვრების ლექზე გაჩერების შედეგად, ხდება საფუვრების ავტოლიზი, რასაც თან სდევს ღვინის გამდიდრება



სზოტონგანი ნივთიერებებით, ამინომჟავებით, პეპტიდეფტით და პეპტონებით. ამ მოვლენას, იმისდა მიხედვით, თუ როგორია ახალგაზრდა ლვინის შემდგომი დანიშნულება, შეიძლება პეპტონებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მნიშვნელობა. ასე, მაგალითად, მაღერის დამზადების დროს საფუფურების ავტოლიზი სასურველი და აუცილებელია, რადგანაც ლვინოში ამინომჟავების სიჭარებები განაპირობებს მაღერის ტონს; ხოლო თუ ახალგაზრდა ლვინო დანიშნულია შამპანურის ან სუფრის ლვინის მოსამზადებლად, რომლებზედაც მაღერიზაციის ტონი და ლვინის ზედმეტი დაუანგვა უარყოფითად მოქმედებს, საფუფურების ავტოლიზი და ლვინის ზედმეტად გამდიდრება ამინომჟავებით არასასურველია.

საფუფურების ავტოლიზის შედეგად ხდება აგრეთვე ლვინის გამდიდრება „B“ ჯგუფის ვიტამინებით.

საფუფურების ავტოლიზის პროცესში დიდ როლს თამაშობს ტემპერატურა. დაბალი ტემპერატურის პირობებში (10°) იგი ნელა მიმდინარეობს და ლვინო ნაკლებად მდიდრდება საფუფურების ავტოლიზის პროდუქტებით; ხოლო მაღალი ტემპერატურის (20°) დროს საფუფურების ავტოლიზი სწრაფად მიმდინარეობს და ლვინო მდიდრდება მისი პროდუქტებით.

პრაქტიკულად, როდესაც საჭიროა ლვინის დაცვა ავტოლიზის პროდუქტებით გამდიდრებისაგან, იგი შედარებით დაბალ ტემპერატურაზე უნდა შევინახოთ.

საფუფურების ყველა ცილოვანი ნივთიერება როდი განიცდის აღნიშნულ გარდაქმნებს. მათი ნაწილი უცვლელი რჩება და სპირტის მოქმედებით იჭრება და ილექტა ლვინიდან.

5. ლვინომჟავა მარილების გამოლექვა

ახალგაზრდა ლვინო მდიდარია ლვინომჟავა კალიუმის, ნატრიუმის, კალციუმის, მაგნიუმის მარილებით. როგორც ზევით აღნიშნეთ, ამ მარილების ლვინიდან გამოლექვა, სპირტის კონცენტრაციის გაზრდის გამო, იწყება ალკოჰოლური დუღილის პროცესში და ლვინის ფორმირების სტადიაშიც გრძელდება. თუ სარდაფში ლვინო შედარებით მაღალ ტემპერატურაზე ინახება, მაშინ, ლვინომჟავა მარილების ხსნადობის



გაზრდის გამო, მცირდება მათი ლვინიდან გამოლექვა. საფუძვლი ლვინოები კი ბოთლებში ჩამოსხმის შედეგად იმღვრევჲ, ასე არასასურველ მოვლენას წარმოადგენს. ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად მიმართავენ ლვინის სიცივით დამუშავებას. მას აცივებენ ლვინის გაყინვის ტემპერატურასთან ახლო მდგომ ტემპერატურამდე (რომელიც დაახლოებით $4,5^{\circ}$ -ს უდრის და დამოკიდებულია ლვინის სიმაგრეზე, რომელის გაზრდითაც ლვინის გაყინვის ტემპერატურა დაბლა იწევს) და ამ ტემპერატურაზე $2-3$ დღის განმავლობაში აჩერებენ თერმოსებში, რათა გამოლექვის საშუალება მიეცეს ლვინომჟავა მარილებს. ლვინის სიცივით დამუშავება ძვირი და ხანგრძლივი ტექნოლოგიური ოპერაციაა, თანაც ამ დროს ლვინო ზედმეტად იუანგება, რაც აუარესებს მის ხარისხს. გარდა ამისა, შამპანური ლვინომასალების სიცივით დამუშავების დროს ხდება ლვინომასალებიდან მაღალმოლექულარული ნიერიერების გამოლექვაც, რაც ამცირებს მომავალი შამპანურის შუშხუნა და ქაფოვან თვისებებს და ამრიგად აქვეითებს მომავალი შამპანური ლვინის ხარისხს.

უკანასკნელ წლებში ლვინიდან ლვინომჟავა მარილების მოსაცილებლად იყენებენ მაღალმოლექულარულ სინთეზურ მასალებს, ეგრეთწოდებულ იონმცვლელ ფისებს, რომელთა გამოყენებაც შემდეგ უპირატესობებს იძლევა:

ა) იონურელელი დანადგარების მოსაწყობად საჭირო კაპიტალდაბანდებანი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მეღვინეობაში ხმარებულ მაცივარ დანადგარების მონტაჟისათვის არის საჭირო;

ბ) მცირდება ლვინომჟავა მარილების გამოლექვისათვის საჭირო დრო. სიცივის გამოყენებით სასურველი მიზნის მისაღწევად საჭიროა $2-3$ დღე, იონმცვლელი ფისების საშუალებით კი ეს ოპერაცია ერთ დღეში შეიძლება ჩავატაროთ;

გ) შესაძლებელია იონურელელი ფისების წარმოებაში მრავალჯერადი გამოყენება მისი რეგენერაციის გზით, რაც კიდევ უფრო აიაფებს პროდუქტიას;

დ) შეიძლება სტაბილიზაციის უკეთესი ეფექტის მიღება, ვიდრე ლვინის სიცივით დამუშავებისას;

ე) ონბცვლელი ფისებით ღვინის დამუშავება არ აუარესებული მის ორგანოლეპტიკურ თვისებებს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კიდევ აუმჯობესებს;

ვ) ონბცვლელი ფისებით შესაძლებელია აგრეთვე ღვინის მჟავიანობის სურვილისამებრ რეგულირება, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მის გამოყენებას.



საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებალეობის, მეცნიერებისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის ლიცენის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის კ. მ. სალდაძის ხელმძღვანელობით მიმღინარეობს მუშაობა შამპანური ღვინომასალების წარმოებაში სიცივით დამუშავების ნაცვლად ონბცვლელი ფისების გამოყენების მიმართულებით.

შამპანური ღვინომასალების დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა სათანადოდ მომზადებული და წყალბადის ფორმაში გადაყვანილი კათიონმცვლელი ფისი KY—2. საცდელად იღებულ იქნა 1959 წლის მოსავლის ხარისხოვანი სამამპანურე ღვინომასალები: რქაწითელი, ჩინური, ალიგოტე, ციცქა და გორული მწვანე. აღნიშნული ღვინომასალების დამუშავება წარმოებდა ლაბორატორიულ პირობებში. კათიონმცვლელი ფისით დასამუშავებლად გამოყენებული იყო ლაბორატორიული ონბცვლელი სვეტი, რომელიც წარმოადგენდა მინის მილს 18 მმ ღიამეტრით, მასში მოთავსებული იყო 10 მლ წყალბადის ფორმაში მყოფი კათიონიტი KY—2. ღვინის გატარება წარმოებდა სიმძიმის ძალით ზევიდან ძვიგვით 100 მლ/წ სიჩქარით. დამუშავებული ღვინის პირველ ულუფაშივე ანალიზმა ცხადჰყო ტიტრული მჟავიანობის გაზრდა და pH-ის შემცირება. დამუშავებული ღვინის ყოველ 200 მლ-ში ისაზღვრებოდა ტიტრული მჟავიანობისა და pH-ის მნიშვნელობა, რომელთა თანდათანობითი ცვლილებაც მოცემულია 1-ლ დიაგრამაზე.

ლაბორატორიულ სვეტში ღვინის გატარება გრძელდებოდა მანამ, სანამ ტიტრული მჟავიანობისა და pH-ის მნიშვნელობა არ დაუბრუნდა საწყის სიდიდეს. ეს კი იმის მაჩვენე-

ბელია, რომ კათიონიტი გამოიფიტა და საჭიროა მისი ნერაცია.

დიაგრამა 1



ლვინის ტიტრული შეკვეთისა და pH-ის თანდათანობითი ცვლილება კათიონმცვლელი ფილით დამუშავების დროს.

თვისობრივმა რეაქციამ კალიუმისა და კალციუმის იონების არსებობაზე გვიჩვენა, რომ დამუშავებულ ლვინოებში ამ ლითონების მხოლოდ კვალიღა არის დარჩენილი. დამუშავებულ ლვინოებში საერთო აზოტის რაოდენობა 30—35%-ით შემცირდა. ამის შემდეგ წარმოებდა დამუშავებული და დაუმუშავებელი ლვინოების კუპაჟი განსაზღვრული შეფარდებით. ამრიგად დამუშავებული ლვინოები შენახულ იქნა ერთი კვირის განმავლობაში წონასწორობის აღსაღვენად, რის შემდეგ ჩატარდა ქიმიური ანალიზი, რომლის შედეგებიც მოცემულია მე-3 ცხრილში.

სიცივეზე მდგრადობის შესამოწმებლად დამუშავებული და დაუმუშავებელი ლვინის ნიმუშები მოთავსებულ იქნა მაცივარში — 4°-ზე. დაუმუშავებელ ლვინოებში ლვინომებავა მარილების გამოლექვა მეორე დღესვე დაიწყო და ლვინო აიმღვრა, მაშინ როდესაც დამუშავებულმა ლვინოებმა გამჭვირვალება შეინარჩუნეს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ საშამპანურე ლვინომასალების წყალბადის ფორმაში მყოფი კათიონიტით (KY - 2) დამუშავების შედეგად მიღწეულ იქნა ლვინის მდგრადობა სიცივეზე.

პარალელურად შემოწმებულ იქნა დამუშავებული ლვინოების მეორადი დუღილის უნარიანობა, რისთვისაც მომზადდა

ც ს რ ი ლ ი 3

წყალბალის ფარმაციული მუნიც კათონებიცლელი ფიზიო დამზუშავებული და დამზუშავებული და არგანიზაციული შეცვალა

ც დ ი ს ი პ ა ნ	ლ ი კ ი ნ ი მ ა ს ა ლ ი ს	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	H _D	გ რ / ლ ი ტ რ ზ ე				გ რ ა დ ა ლ ი ს ა ლ ი ს	გ რ ა დ ა ლ ი ს ა ლ ი ს
				გ რ ა დ - %	ც დ ა დ ა ლ ე ბ ი დ ი ს	ც დ ა დ ა ლ ე ბ ი დ ი ს	გ რ ა დ ა ლ ი ს ა ლ ი ს		
1	რ ე ზ ი ტ ე ლ ი — ს ა კ ი ნ ტ რ ლ ი	0,9973	10,5	3,32	5,1	0,51	2,80	0,54	18,1
	დ ა მ უ შ ვ ე ბ უ ლ ი	0,9918	10,5	2,97	6,7	0,51	2,80	0,54	17,7
2	ა ლ ი გ ი ტ ე — ს ა კ ი ნ ტ რ ლ ი	0,9940	9,2	3,59	6,4	0,37	2,61	0,21	18,12
	დ ა მ უ შ ვ ე ბ უ ლ ი	0,9929	9,2	3,18	7,2	0,37	2,61	0,21	16,87
3	ჩ ი ნ ტ რ ი — ს ა კ ი ნ ტ რ ლ ი	0,9933	9,9	3,52	6,8	0,77	3,66	0,27	17,6
	დ ა მ უ შ ვ ე ბ უ ლ ი	0,9923	9,9	2,89	7,8	0,77	3,66	0,27	16,73
4	ც ი ც ე — ს ა კ ი ნ ტ რ ლ ი	0,9942	10,1	3,27	7,5	0,82	3,19	0,27	20,02
	დ ა მ უ შ ვ ე ბ უ ლ ი	0,9928	10,1	2,95	8,2	0,82	3,19	0,27	19,71
5	გ რ ლ უ ლ ი — მ წ ვ ა ნ ე — ს ა კ ი ნ ტ რ ლ ი	0,9925	10,5	3,33	6,6	0,93	2,76	0,48	17,48
	დ ა მ უ შ ვ ე ბ უ ლ ი	0,9914	10,5	3,12	7,5	0,93	2,76	0,48	16,97



დამუშავებული ღვინისა და საშამპანურე ლიქიორის ნაზავი მოთავსდა წინასწარ გასტერილებულ დუნბარის ლებში და ორეში შეტანილ იქნა 48-სათიანი საფურების კულტურა — შამპანური 7. დუნბარის მილები დაიდგა 15° ტემპერატურაზე, ე. ი. იმ ტემპერატურაზე, რომელზედაც საწარმოო პირობებში მიმდინარეობს შამპანიზაციის პროცესი. დულილის მსვლელობაზე დაკვირვება წარმოებდა ერთი კვირის განმავლობაში. დამუშავებულ ღვინის ყველა ნიმუშში მეორადი დულილი დაიწყო ზეორე დღეს და ნორმალურად მიმდინარეობდა. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ წყალბადის ფორმაში მყოფი კათიონნმცველი ფისით დამუშავებულმა საშამპანურე ღვინომასალებმა შეინარჩუნეს მეორადი დულილის უნარიანობა.

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, ზემოთ აღწერილი მეთოდით დამუშავების შემდეგ საშამპანურე ღვინომასალებში შეიცვალა: ხვედრითი წონა, ექსტრაქტი, pH, ტიტრული მეაგიანობა, საერთო აზოტი. რაც შეეხება ღვინის სიმაგრეს, ქროლავ მეაგიანობას, ღვინომეავას, ტანინს, — ეს კომპონენტები დამუშავების შედეგად არ შეცვლილან.

ყველა ცვლილება, რაც წყალბადის ფორმაში მყოფი კათიონნმცვლელი ფისით ღვინის დამუშავების დროს მიმდინარეობს, დასაშვებ ფარგლებში მერყეობს.

ღვინოში მომხდარ ცვლილებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ტიტრული მეაგიანობის გაზრდა და pH-ის შემცირება. ღვინის ტიტრული მეაგიანობის გაზრდა მოხდა ღვინოში შეკავშირებული სახით არსებული ღვინომეავა მარილების განთავისუფლების შედეგად. თუ შევადარებთ დამუშავებული და დაუმუშავებელი ღვინოების ტიტრულ მეაგიანობას, დავინახავთ, რომ პირველში იგი გაიზარდა $0,8 - 1,3\%$ ით. ეს მოვლენა ყურადღების ლირსია, რადგანაც წყალბადის ფორმაში მყოფი კათიონნმცვლელი ფისით დაბალმეავიანი საშამპანურე ღვინომასალების დამუშავებით შესაილებელი იქნება მინიმუმამდე დავიყვანოთ და ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად გამოვრიცხოთ შამპანური ღვინოების წარმოებაში ლიმონმეა-



ვას გამოყენება, რაც საგრძნობლად გააითხებს პროფესიული ტექნიკური თვითღირებულებას.

დამუშავებული და დაუმუშავებელი ლვინოების ორგანო-ლეპტიკური შეფასებით გამოირკვა, რომ დამუშავების შედე-გად საშამპანურე ლვინომასალები უფრო ხალისიანი ხდება და ინარჩუნებს ყველა იმ ოვისებას, რაც ხარისხოვან საშამ-პანურე ლვინომასალებს უნდა გააჩნდეს.

საშამპანურე ლვინომასალების დასამუშავებლად იონმცვ-ლელი ფისების ფართო მასშტაბით გამოყენება მომავალი მუ-შაობის საგანს შეადგენს და იგი უდაოდ საგრძნობ ეკონო-მიურ ეფექტს მისცემს წარმოებას.

ლვინის დაგარგების დროს მიმღირარე გარდაშვები

ზემოთ აღწერილი გარდაქმნების შეფეგად იწყება ლვინის დავარგების სტადია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ლვინოზე უანგბადის მოქმედებასთან.

ლვინის დავარგებისა და დაძველების თეორიული დასა-ბუთება ჯერ კიდევ 85 წლის წინათ მოგვცეს ლუი პასტერმა და ბერთლომ. მათ მიერ გაკეთებული ბევრი დასკვნა დღემ-დის ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. მართალია, ისინი სხვადასხვაგვარად მიუდგნენ საკითხს, მაგრამ ორივემ სწორი დასკვნა გააკეთა: ლვინის დავარგებისათვის აუცილებელია უანგბადი (პასტერი), ხოლო შემდგომ ლვინის დაძველების დროს უანგბადი უარყოფით გავლენას ახდენს ლვინოზე (ბერთლო).

დღეისათვის ყველა ერთხმად აღიარებს უანგბადის აუცი-ლებელ როლს ლვინის დავარგების სტადიაში.

დავარგების სტადიაში ჰაერის უანგბადი აღწევს ლვინის კასრებში შენახვისა (საშპუნტე ნახვრეტიდან და ტკეჩის ფორე-ბიდან) და ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარების შედე-გად (ლვინის გადაღება, კასრების შევსება, გაფილტვრა და სხვ.).

ჰაერის უანგბადი მოხვედრისთანავე იხსნება ლვინოში. ფრანგმა მეცნიერმა ჟ. რიბერო-გაიონმა გამოიკვლია აერა-



ციის შედეგად ღვინოში გახსნილი ჟანგბადის რაოდენობაზე დასკვნები:

1. თუ წყალსა და ღვინოში შევიტანთ ერთი და იმავე რაოდენობის ჟანგბადს, მაშინ შენჯლრევის შედეგად ღვინოში უფრო სწრაფად იხსნება ჟანგბადი, ვიდრე წყალში. ეს გამოწვეულია იმით, რომ შენჯლრევის შედეგად ღვინოში არსებული სპირტი ჰაერთან იძლევა მდგრად ემულსის, რაც ზრდის ღვინის ჰაერთან შეხების ზედაპირს. ღვინოში, რომელიც არ შეიცავს ჟანგბადს, 20° ტემპერატურაზე შენჯლრევის შედეგად იხსნება შემდეგი რაოდენობის ჟანგბადი (მლ/ლ): პირველ წამში – 2,2; მეორეში – 3,1; მეხუთეში – 4,6; მეათეში – 5,9; მეოცდაათე წამში – 5,9.

ჟანგბადის ხსნადობის უნარით სხვადასხვა ღვინოები უმნიშვნელოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან; მშრალი ექსტრაქტის დიდი რაოდენობით შემცველ ღვინოებში ჟანგბადის ხსნადობა უმნიშვნელოდ მცირდება; ღვინოში ჟანგბადის ხსნადობა ტემპერატურის უკუპროპორციულია. ასე, მაგალითად, 20° ტემპერატურაზე ჟანგბადით გაჯერებული ღვინოები შეიცავენ 5,6–6 მლ/ლ ჟანგბადს, ხოლო 12° ტემპერატურაზე გაჯერებული ღვინოები კი 6,3–6,7 მლ/ლ-ზე.

2. სიფონით გადალების დროს ღვინის ჟანგბადის გამდიდრება უმნიშვნელოა; როცა ღვინის გადალების დროს მიმღებ ჭურჭელში მიღი ჩაშვებულია ფსკერამდე, ღვინოში იხსნება 0,1–0,2 მლ/ლ ჟანგბადი, ხოლო როცა მიმღებ ჭურჭელში ღვინის ჩამოსხმა ზევიდან ან ძაბრის საშუალებით ხდება, მაშინ ჟანგბადის რაოდენობა ღვინოში 3–4 მლ/ლ-მდე იზრდება.

3. ღვინოში ყოველთვის გახსნილია CO_2 , რომლის რაოდენობაც რამოდენიმე მეათედ მიღილიტრიდან რამოდენიმე მიღილიტრამდე მერყეობს ლიტრ ღვინოში. CO_2 -ის ნორმალური რაოდენობა გავლენას არ ახდენს ღვინოში ჟანგბადის ხსნადობაზე, მაგრამ თუ ღვინოში CO_2 დიდი რაოდენობით არის გახსნილი, მაგალითად, 100 მლ/ლ-ზე მეტი, მაშინ იგი ღვინის ზედაპირზე წარმოქმნის გაზის ფენას, რომელიც ხელს უშლის ჟანგბადის გახსნას.

4. თუ ღვინო ჰაერთან კონტაქტში იმყოფება, მაშინ ჟანგ-



ბადი შეხების ზედაპირიდან გადადის ღვინოში და შემზევული დიფუზიას განიცდის. ღვინოში, თუ იგი უანგბადს არ შეიცავს, 12° ტემპერატურაზე 15 წუთის განმავლობაში 100 სმ ზედაპირიდან იხსნება 0,4 მლ/ლ უანგბადი.

5. ღვინო უფრო მდიდრდება უანგბადით ტუმბოს საშუალებით გადალების დროს, ვიდრე სიფონით გადალებისას. ტუმბოთი გადალებისას ლიტრ ღვინოში იხსნება საშუალოდ 4—5 მლ უანგბადი. უანგბადის ეს რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება, როცა ტუმბოს შემწოდების მილს აქვს მცირე ნასვრეტები, ან თუ მილები კარგად არ არის გადაბმული. უანგბადით გამდიდრება განსაკუთრებით მაშინ ხდება, როდესაც ტუმბო უფრო მაღლა იმყოფება, ვიდრე ის ჭურჭელი, რომლიდანაც ღვინის გადალებას ვაწარმოებთ. ეს გამოწვეულია იმით, რომ ასეთი გადალების დროს წნევის ქვეშ მყოფი ჰაერი ღვინოსთან ქმნის იმდაგვარ ემულშიას, რომელიც წარმოიქმნება ღვინის ჰაერზე შენჯლრევის დროს, ეს კი ხელს უწყობს დიდი რაოდენობით უანგბადის გახსნას. ასეთ შემთხვევაში უანგბადის რაოდენობა ლიტრ ღვინოში შეიძლება 6 მლ/ლ-მდე გაიზარდოს.

უ. რიბერო-გაიონის ამ დასკვნას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკულ მეღვინეობაში, რადგანაც ტექნოლოგიური ოპერაციების არასწორ პირობებში ჩატარების შედეგად შესაძლებელია ღვინო არასასურველი რაოდენობით გამდიდრდეს უანგბადით, რაც გამოიწვევს მის გაქარვას ან ამღვრევას, თუ მას კასისაკენ მიღრეკილება ახასიათებს. გარკვეულ პირობებში უანგბადის ღვინოსთან შეერთების სიჩქარე, ანუ ღვინის დაუანგვის სიჩქარე, ამა თუ იმ ღვინისათვის მუდმივია და ახასიათებს ღვინის განსაზღვრულ თვისებას, რომელსაც დაუანგვის უნარიანობა ეწოდება.

ე. რიბერო-გაიონის მონაცემებით, ღვინის დაუანგვის სიჩქარეზე დიდ გავლენას ახდენს ტემპერატურა. ტემპერატურის გაზრდასთან ერთად იზრდება ღვინის დაუანგვის სიჩქარეც.

მოგვყავს ჟ. რიბერო-გაიონის მონაცემები ღვინოში გაჯერებამდე გახსნილი უანგბადის (6 მლ/ლ) ღვინოსთან შეერთების სიჩქარის შესახებ სხვადასხვა ტემპერატურაზე (საანალი-



ზოდ აღებული იყო თეორი ლვინო, რომელიც შეიცავდა 60 მგ/ლ თავისუფალ გოგირდოვან მეგავას). ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ განსაზღვრულ პირობებში ლვინოში გახსნილი მთელი ჟანგბადი ლვინოს უერთდება დროის შემდეგ მონაკვეთში:

2° t-ზე—4 თვის განმავლობაში

3° t-ზე—3 ” ”

13° t-ზე—25 დღის განმავლობაში

17° t-ზე—18 ” ”


20° t-ზე—14 ” ”

30° t-ზე—3 ” ”

80° t-ზე— რამოდენიმე წუთის განმავლობაში.

ლვინოში გახსნილი მოლექულური ჟანგბადის მიერ ლვინის ელემენტების ჟანგვის პროცესს ხსნის აკადემიკოს ა. ნ. ბახის ნელი დაუანგვის ზეჟანგური თეორია, რომელიც ჩამოყალიბებული იყო მის მიერ ჯერ კიდევ 1897 წელს. ამ თეორიის თანახმად დაუანგვის მექანიზმი ასე უნდა გავიგოთ: ცოცხალ ბუნებაში არსებობენ ენერგეტიკულად არამდგრადი მოლექულები, რომლებიც ჭარბ ენერგიას გადასცემენ ჟანგბადის მოლექულას და წარმოქმნიან ზეჟანგებს. შემდეგ ეს ზეჟანგები პეროქსიდაზის მოქმედებით იშლებიან და გადასცემენ ჟანგბადის აქტიურ ატომს სხვა მოლექულას, რომელიც განიცდის დაუანგვას. აკად. ბახის ნელი დაუანგვის ზეჟანგურმა თეორიამ აღიარება ჰპოვა საბჭოთა და საზღვარგარეთელ მეცნიერთა შორის.

არსებითად იგივეა უ. რიბერო-გაიონის შეხედულებაც ლვინოში დაუანგვითი პროცესების მიმდინარეობაზე: ლვინოში იმყოფება ნივთიერება R, რომელსაც უნარი შესწევს შეიირთოს ლვინოში გახსნილი ჟანგბადის ნაწილი და წარმოქმნას დამჟანგავები RO₂:




ნაერთ RO₂-ს უურო მეტი დაუანგვითი უნარი აქვს, ვიდრე მოლექულარულ ჟანგბადს—O₂-ს.

RO₂-ის წარმოქმნა ლვინის დაუანგვის არსებით ნაწილს





შეადგენს. RO_2 წარმოადგენს არამდგრად ზეჟანგს და უმიმატებად უნარი შესწევს დაუანგოს ღვინოში არსებული ისეთი შეტკიცებით, რომელთაც გერ უანგავს მოლექულარული უანგბადი. ვდებულობთ შემდეგ რეაქციას:




ამ რეაქციას მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც გამოხატავს ღვინოში მიმდინარე გარდაქმნებს მასში გახსნილი უანგბადის შეერთების დროს. ღვინის დაუანგვის სიჩქარე იზომება ამ რეაქციის, და არა წინა რეაქციის ($\text{R} + \text{O}_2 = \text{RO}_2$), სიჩქარით, რომელიც, მართალია, სწრაფად მიმდინარეობს, მაგრამ შექცევადია.


დღეისათვის ცნობილია, რომ ღვინოში არსებული პოლიფენოლები აღვილად იქანგებიან მოლექულური უანგბადის მოქმედებით და წარმოქმნიან ქინონებს, რომლებიც წარმოადგენენ ზეჟანგებს და ღვინის სხვა ელემენტებზე უანგბადის გადამცემის როლს ასრულებენ. ასე, მაგალითად, აკად. ს. ვ. დურმიშიძის მონაცემებით, ღვინის დავარგების პერიოდში უანგბადის მოქმედებით ხდება ღვინოში არსებული მთრიმლავი ნივთიერებების დაუანგვა. ეს პროცესი მით უფრო ენერგიულად მიმდინარეობს, რაც უფრო დიდია ღვინოში გახსნილი უანგბადის რაოდენობა და მაღალია ტემპერატურა. ღვინო დავარგების და დაძველების სტადიაში შეიცავს ტანიდების რთულ ნაერთებს, რომლებშიაც შედიან მარტივი კატენები და გალოკატებინები, აგრეთვე მათი გარდაქმნის პროცესები. როგორც აკად. ს. ვ. დურმიშიძე აღნიშნავს, დავარგების დროს დაუანგვის შედეგად ღვინოში განსაკუთრებით მცირდება კატენებინები.

ღვინის დავარგების სტადიაში მთრიმლავი ნივთიერებანი აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ღვინოში მიმდინარე უანგვა-ალდგენითი პროცესებში. ღვინოში არსებული მთრიმლავი ნივთიერებანი (პოლიფენოლები), რომელთაც აქვთ O—დიოფენოლის ჯგუფი, გარდაიქმნებიან O—ქინონებად:



ასეთი გზით წარმოქმნილი ქინონი ართმევს წყალბადის ორ ატომს ასკორბინინის მჟავას და ჟანგავს მას დიპიდროასკორბინის მჟავად, თვითონ ქინონი კი კვლავ აღდგება $\text{O}-$ დიფენოლად. როდესაც ლვინოში არსებული ასკორბინის მჟავა მთლიანად დაიუხავდება ქინონის მოქმედებით, მაშინ ქინონს კარებინად აღადგენს დიოქსიმალეინის მჟავა, რომელიც ამ დროს გარდაიქმნება დიკეტოქარვის მჟავად:





დიკეტოქარვის მუავა

ლეინის შემდგომი დაუანგვა მიმდინარეობს ამა თუ იმ კატალიზატორის მოქმედებით. ასეთი კატალიზატორები არიან პეროქსიდაზა და არაორგანული კატალიზატორები — მძიმე ლითონების, რკინისა და სპილენძის მარილები.

ფერმენტი პეროქსიდაზა ხელს უწყობს ზეჟანგებს ღვინოში არსებული ნივთიერებების დაუანგვაში. პეროქსიდაზა წარმოადგენს ორკომპონენტიან ფერმენტს, რომლის აქტიური ჯუფიც შეიცავს სამვალენტიან რკინას. ამ ფერმენტის აქტივობა ღვინოში მეტად მცირეა, რის გამოც მისი მეშვეობით ერთობ ნელა მიმდინარეობს დაუანგვითი პროცესები.

პეროქსიდაზის პარალელურად მოქმედებენ ღვინის და-
უანგვის პროცესში რეინისა და სპილენძის მარილებიც, რომ-
ლებიც ყოველთვის იმყოფებიან ღვინიში. როგორც ე. რი-
ბერო-გაიონი აღნიშნავს, დაუანგვის სისწრაფე დიდად არის
დამოკიდებული მასში რეინისა და სპილენძის რაოდენობაზე.

თუ ჩვენ ღვინოდან გამოვიტანთ რკინისა და სპილენძის სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებით, დავინახავთ, რომ ღვინო სრულად აღარ შთანთქავს ქანგბადს ან შთანთქავს ძალიან მცირე რაოდენობით. სამაგიეროდ, სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებულ ღვინოში რკინისა და სპილენძის შეტანა იწვევს მისი დაფანგვის უნარიანობის აღდგენას.

თავისი ცდებით ე. რიბერო-გაიონი მივიღა იმ დასკვნამ-
დე, რომ დაუანგვითი პროცესები ლვინოში მიმდინარეობს
მძიმე ლითონების იონების მეშვეობით, რომლებიც წარმოქმ-
ნიან RO_2 ტიპის ზეჟანგებს და წარმოადგენენ შუალედ დამ-
ჯანგველებს. ამასთან ე. რიბერო-გაიონი ლვინის დაუანგვის




პროცესში თანაბარ კატალიზურ თვისებებს ანიჭებს როგორია თუ, ასევე სამვალენტიან რეაქციას.

მაგრამ ა. კ. როდოპულომ თავის მონაცემებით დამტკიცა, რომ სამვალენტოვან რეაქცია კატალიზური თვისებები არ აქვს, იგი მხოლოდ ინდუქტიური მოქმედების უნარით ხასიათდება. რაც შეეხება ორვალენტიან რეაქციას, იგი ხასიათდება კატალიზური თვისებებით და მონაწილეობს ლვინის ელემენტების დაფანგვაში.

ა. კ. როდოპულოს ცდებით დადგენილ იქნა, რომ რეაქციის იონების დამჯანგავი მოქმედება გამოწვეულია მათი უნარით, წარმოქმნან ღვინოში არსებულ დი-და ტრიკარბონმჟავებთან კომპლექსური მარილები, რომელთაც დიდი კატალიზური თვისებები აქვთ. რეაქციის ასეთი კომპლექსური მარილი ღვინოში შეიძლება იყოს მჟაუნმჟავა რეაქცია და ღვინომჟავა რეაქცია. ღვინოში არსებული ღვინომჟავა იქანგება ღვინომჟავა რეაქციისა და მჟაუნმჟავა რეაქციის საშუალებით, რის შედეგადაც წარმოიქმნება მთელი რიგი შუალედი პროდუქტები. ა. კ. როდოპულოს მონაცემებით, ღვინოში არსებულ ღვინომჟავას დაუანგვა შემდეგი სქემით უნდა წარმოვიდგინოთ:




ღვინომჟავა




დიოქსიმალეინის მჟავა

↑



დიკოტოქარგის მჟავა




+

↑ ჟანგბადის მრწოდება შეზღუდულია ↑




უკანგბადის მიწოდება შეზღუდული არ ჰქონდება




მეზოქსალის მუავის ალდეჰიდი





მეზოქსალის მუავა





გლიკოზის მუავა



მუაუნმუავა



გლიკოზი




მუაუნმუავა

ლეინის დავარგების სტადიაში ორვალენტიანი რეინის კომპლექსური მარილის მოქმედების შედეგად ლეინოზიგას გარდაქმნის ყველა ზემოთ ნახსენები პროდუქტი ნაპოვნია ლეინოში. იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაში ინახება ლეინი, ეს ნივთიერებანი შესაძლებელია დაჯანგვა-ალდეგენის გზით გარდაიქმნენ ერთიმეორეში.

როგორც სქემიდან ჩანს, ორვალენტიანი რეინის მოქმედებით ლეინომუავა ადვილად იქანგება დიოქსიმალეინის მუავად, რომელიც ჩვეულებრივ ტემპერატურაზე, აერობულ პირობებში, განიცდის თვითდაფანგვას დიკეტოქარბოის მუავად. თუ ამ სტადიაზე შევაჩერებოთ ლეინოში ქანგბადის მი-

წოდებას, შეიძლება შევაჩეროთ აგრეთვე დიოქსიმალურისტ
მჟავას დაუანგვა დიკეტოქარვის მჟავად. ანაერობულ პირობებ-
ში, როგორც სქემიდან ჩანს, დიკეტოქარვის მჟავა ახდენს
ღვინოში არსებულ ღვინომჟავას ახალი ულუფის დეპიდრა-
რებას და ღვინოში გროვდება დიოქსიმალეინის მჟავა. თუ
ღვინომჟავას გარდაჭმნის მეორე სტადიიდან ღვინოს მიგაწო-
დებთ უანგბადს, მაშინ დიკეტოქარვის მჟავა განიცდის დე-
კარბოქსილირებას და იუანგება გლიოქსალის მჟავად, ეს
უკანასკნელი კი იუანგება მჟაუნმჟავად. ძლიერ გაქარული
ღვინო იძენს უხეშ გემოს, რომელიც გაპირობებულია ღვი-
ნოში დაუანგული პროდუქტების დაგროვებით. უანგბადის
ზომიერი მიწოდებით ღვინოები იძენენ სასიამოვნო გემოს და
ნაზ არომატს, რაც გამოწვეულია ღვინოში დიოქსიმალეინის
მჟავის დაგროვებით.

ლვინის დავარგების სტადიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ლვინოში არსებულ აზოტოვანი ნივთიერების, კერძოდ, ამინომჟავების გარდაქმნას. ლვინოში არსებულ ამინომჟავებზე მოლეკულური ფანგბადის მოქმედების შედეგად, როდესაც კატალიზატორის როლს მდიმე ლითონები Fe^{++} , Cu^{++} , Mn^{++} ასრულებენ, წარმოიქმნება ალდეჰიდები, ამონიაკი და CO_2 . თანამედროვე შეხედულებით ეს ჩამოყალიბება შემდეგნაირად მიმდინარეობს: ხდება ამინომჟავების დეპილირირება α ამინომჟავეს წარმოქმნით, რომელიც არამდგრადია, ადვილად გამოჰკოფს CO_2 -ს და გადადის ალდემინში, რომელიც ჰიდროლიზის შედეგად გვაძლევს ალდეჰიდსა და ამონიაკს.





ამ გზით წარმოქმნილი ალდეპიდები გამოირჩევიან ხასიათებელი სუნით, რომელიც განაპირობებს მაღერის ტონს. ამ ალდეპიდებს შემდეგში შეუძლიათ მოვცენ აცეტალი, რეაქციაში შევიღნენ ტანიდებთან, დაიჯანგონ შესაბამის მუკვებამდე და ო. შ. საინტერესოა ალდეპიდების მეორადი რეაქცია ამინომუკვებთან, პეპტიდებთან, პეპტიონებთან, რის შედეგადაც ღვინოში წარმოქმნება მუქად შეღებილი ნივთიერებანი, ეგრეთ წოდებული მელანიდები, რომელთა მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი გამჭვირვალე ქარვის ფერს აძლევენ ღვინოს.

პროფესორ გ. ი. ბერიძის, ე. ნ. ბეზინგერის, მ. გ. სირბილაძის და ე. ბ. კუვაევის მიერ ჩატარებულმა ცდებმა ნათელი მოქფინა სხვადასხვა წესით დამზადებულ თეთრი კახური ტიპის ღვინოების დავარგების პროცესში აზოტოვანი ნივთიერებების გარდაქმნის საკითხებს.

პროფესორ გ. ი. ბერიძისა და მისი თანამშრომლების მიერ ღვინოში არსებული ამინომუკვებისა და პეპტიდების გარდაქმნა ღვინის დავარგების სტადიაში გამოკვლეულ იქნა ახალი მეთოდებით, კერძოდ ნინიკირდინისა და ქალალდის ქრომატოგრაფიის მეთოდით. საკვლევი თეთრი კახური ტიპის ღვინოები მომზადებული იყო სამი მეთოდით: თანამედროვე კახური წესით, ძველი კახური წესით და პროფ. გ. ი. ბერიძის მიერ შემუშავებული ახალი ტექნოლოგიური წესით (ფერმენტაციული ჰაჭის გამოყენების საშუალებით).

ამ სამი წესით დაყენებული ღვინოების შედარებით გამოირკვა, რომ თანამედროვე და ძველი კახური წესით დაყენებულ თეთრი კახური ტიპის ღვინოებში დავარგების სტადიაში უფრო მეტი რაოდენობით გროვდება ამინომუკვები და პეპტიდები, ვიდრე ღვინის ახალი წესით დაყენების შემთხვევაში. სამივე წესით ღვინის მომზადების ღროს საფუვრები იყენებენ ტკბილში არსებულ ყველა ამინომუკვას და პეპტიდს. მძაფრი დუღილის დამთავრების შემდეგ ღვინოში შესამჩნევი რაოდენობით რჩება მხოლოდ პროლინი. ჰაჭაზე და საფუვრების ლექზე ღვინის გაჩერების შედეგად ღვინოში თან-



დათანობით გადადის მთელი რიგი ამინომუავები და უქმეტადი დები.

პროფ. გ. ი. ბერიძისა და თანამშრომლების მიერ კახური ტიბის თეთრ ლვინოებში აღმოჩენილ იქნა γ ამინორბოს მჟავა, გლიკოკოლი, ალანინი, ვალინი, ლეიცინი, ასპარაგანისა და გლუტამინის მჟავები, სერინი.

თანამედროვე შეხედულებით, ლვინის დავარგების სტადია-ში ზემოთ განხილული პოლიფენოლების, ორგანული მჟავე-ბისა და აზოტოვან ნივთიერებათა ცვლილება ის ძირითადი გარდაქმნებია, რომლებიც ჰაერის ჟანგბადის მოქმედებით და შუალედი დამჟანგველების საშუალებით მიმდინარეობს.

ლვინის დავარგება კასრებში წარმოებს, რაც არ აქმაყო-ფილებს თანამედროვე მელვინეობის მრეწველობის შოთხოვნი-ლებებს. კასრებში ლვინის ხანგრძლივი დროით შენახვა იწვევს დანაკარგებს ლვინის აშრობის გამო. ამიტომ, კასრების ნაცვ-ლად ხშირად იყენებენ მომინანქრებულ ცისტერნებს ან რკინაბეტონის ჰერმეტულად დახურულ რეზერვუარებს, მაგ-რამ ასეთი სახის ჭურჭელში, ჰაერის ჟანგბადის შეუღწევლო-ბის გამო, თითქმის მთლიანად გამორიცხულია დაფანგვითი პროცესების მიმდინარეობა და, ამდენად, ლვინის დავარგებაც არასრულყოფილად ხდება. ყოველივე ამან მეცნიერთა წინაშე დააყენა ამოცანა გამოენახათ გზები ლვინის ხელოვნურად დავარგების მისაღწევად.

როგორც ზევით აღნიშნეთ, ლვინის დავარგების სტადია-ში ლვინომჟავა იჯანგება რკინის კომპლექსური მარილების მოქმედებით, რაც იწვევს მთელი რიგი შუალედი პროდუქტე-ბის წარმოქმნას, რომელთაგან ლვინისათვის მნიშვნელოვანია დიოქსიმალეინის მჟავა და დიკეტოქარვის მჟავა.

ა. კ. როდოპულომ ლვინოში ხელოვნურად შეიტანა დიო-ქსიმალეინის მჟავა, რომელიც ჰაერის ჟანგბადის მოქმედების შედეგად დაიჯანგა დიკეტოქარვის მჟავად. ამის შემდეგ, ლვი-ნის ანაერობულ პირობებში შენახვის დროს, დიკეტოქარვის მჟავაშ გამოიწვია ლვინომჟავას დეპიდრირება, რასაც მოპყვა ლვინოში დიოქსიმალეინის მჟავას დაგროვება. ასეთი ლვინის ორი-სამი თვით ანაერობულ პირობებში შენახვის შედეგად



გაუმჯობესდა მისი ბუკეთი და გემო. აქელან გამომდინარებულისა როდობულომ ღვინოში შეიტანა ღვინომჟავა რკინისა და მჟაუნმჟავა რკინის კომპლექსური მარილები. ამ კატალიზატორებმა გამოიწვიეს ღვინომჟავას დაუანგვა დიოქსიმალეინისა და დიკეტოქარვის მჟავად, რითაც ხელოვნურად დაჩქარდა ღვინის დავარგების პროცესი. ღვინომჟავა რკინა და მჟაუნმჟავა რკინა, როგორც კატალიზატორები, მონაწილეობენ ღვინომჟავას დაუანგვის პირველ სტადიაზი, რომლის დროსაც აუცილებელია ჰაერის ჟანგბადი. ამის შემდეგ ჟანგვა-აღდგენითი პროცესები მიმდინარეობენ ანაერობულ პირობებში დეპიდრიორების გზით. ამ ეტაპზე ჰაერის ჟანგბადის მოქმედება მავნებელია, რადგან მისი მოქმედებით დიკეტოქარვის მჟავა, შუალედი პროდუქტების მოცემით, შეიძლება დაიუანგოს მჟაუნმჟავად. ამ შემთხვევაში კი ადგილი არ ექნება ღვინის დავარგებას.

ეს მეთოდი საშუალებას იძლევა მომინანქრებულ ცისტერნებში მოვახდინოთ ღვინის დავარგება, რაც შეამცირებს აშრობით გამოწვეულ დანაკარგებს.

ღვინის დავარგების ხელოვნურად დაჩქარების მეთოდებიდან ცნობილია აგრეთვე მონტის მეთოდი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: დაბალ ტემპერატურაზე ღვინოს გაჯერებენ ჰაერის ჟანგბადით და შემდეგ ათბობენ 20° -მდე-გათბობის შემდეგ ღვინოს კვლავ აცივებენ და ხელშეორედ გაჯერებენ ჟანგბადით. ანის შემდეგ ღვინოს კვლავ ათბობენ, ისევ აცივებენ და ფილტრავენ დაბალ ტემპერატურაზე.

არსებობს აგრეთვე ღვინის დავარგების დაჩქარების კას-სიზის მეთოდი; ღვინოს აცივებენ მინუს $5 - 7^{\circ}$ -მდე და მასში შეჭყავთ ჟანგბადი 5 ატმოსფერული წნევის ზემოქმედებით. ეს პროცესი გრძელდება $1,5$ საათს. ამასთან ჟანგბადით გაჯერების პროცესში აწარმოებენ ღვინის არევას. შემდეგ ღვინოს ასვენებენ 40 საათს. ამ დროის განმავლობაში ღვინიდან გამოილექება ღვინომჟავა მარილები. 40 საათის შემდეგ ღვინოს ფილტრავენ, აცხელებენ 65° -მდე და კვლავ შეჭყავთ მასში ჟანგბადი 1 საათის განმავლობაში. ამ დროს გამოილექება პროტეინები და პექტინის ნივთიერება და წარმოიქმნება.



ნება ეთერები და ალდეჰიდები. 65° -მდე გამთბარი უფინასუბობის ცივდება სარდაფში, იფილტრება და ხელოვნურად დავარგებული ღვინო მზად არის სარეალიზაციოდ.

პროფ. მ. ა. გერასიმოვის მიერ მოცემულია ღვინის დავარგების დაჩქარების შემდეგი მეთოდი: ღვინოს აცივებენ გაყინვის ტემპერატურასთან ახლო მდგომ ტემპერატურამდე, ამასთან გაცივების წინ მას აჯერებენ ქანგბალით. ორი დღის შემდეგ ღვინოს ფილტრავენ გაცივების ტემპერატურაზე, ჰაერის მიუკარებლად ათბობენ 25° -მდე და ასვენებენ 30 დღის განმავლობაში. ამჯამად საბჭოთა კავშირის მთელ რიგ მეღვინეობის საწარმოებში ღვინის დამუშავება წარმოებს პროფ. მ. ა. გერასიმოვის მიერ შემუშავებული კომბინირებული თერმიული მეთოდით, რაც აჩქარებს ღვინის დავარგების პროცესს.

ღვინის დავარგების ხელოვნურად დაჩქარებას ხელს უწყობს აგრეთვე სისხლის ყვითელი მარილის გამოყენება. სისხლის ყვითელი მარილით დამუშავებული ახალგაზრდა ღვინები იძნენ უფრო წმინდა და ჰარმონიულ გემოს. ღვინის სტაბილიზაციისა და დავარგების მიზნით ამ მარილის გამოყენება ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ითვლება და დღითიდლე ფეხს იკიდებს სამამულო მეღვინეობაში.

გარდა ამ მეთოდებისა, ღვინის დავარგების დასაჩქარებლად გამოყენებულ იქნა ოზონი და ულტრაიისფერი სხივები. ოზონით და ულტრაიისფერი სხივებით დამუშავების შემდეგ შემჩნეულ იქნა ღვინის ხარისხის გაუმჯობესება, რასაც ჩვეულებრივ ადგილი აქვს ბუნებრივი დავარგების დროს.

დავარგების დაჩქარების მეთოდებიდან ცნობილია აგრეთვე ღვინის დამუშავება ყვითელ-ნარინჯისფერ სხივებით, ულტრაბერერებით, ზოგიერთი ლითონური კატალიზატორით (კობალტი, ვანადიუმი, ურანი, ვერცხლი, ტანინი) და ფერმენტებით.

ღვინის დავარგების დასაჩქარებლად ამ ბოლო დროს იყენებენ იონმცვლელ ფისებსაც. კ. მ. სალდაძის მონაცემებით, 3—4 თვის ღვინომ, რომელიც დამუშავებული იყო კათიონ-მცვლელი ფისით, ისეთი ორგანოლეპტიკური თვისებები შეიძინა, რაც 1—1,5 წლის ღვინისათვის არის დამახასიათებელი.



როგორც ჩანს, იონმცვლელი ფისები ღვინის დაგარეულების პროცესში კატალიზატორთა როლს ასრულებენ და აჩქარებენ ბიოქიმიურ პროცესებს.

ღვინის დაგარების დაჩქარების მეთოდებიდან პრაქტიკულ მელვინეობაში ჯერჯერობით გამოყენება ჰპოვა ღვინის კომბინირებულმა თერმულმა დამუშავებამ, აერაციამ, გაწებებამ, სისხლის ყვითელი მარილებით დამუშავებამ.

ღვინის დაძველების ღროს მიმღინარე გარღვევები

დაუანგვითი პროცესების შედეგად ღვინო თანდათან ვარგდება და მომწიფებული ხდება ჩამოსასხმელად. ამის შედეგ ღვინოზე უანგბადის მოქმედება უკვე საზიანოა. ღვინოზე უანგბადის მოქმედების შესამცირებლად მიღებულია კასრების შპუნტით გვერდზე დაყენება, ასეთ მდგომარეობაში ღვინოში მცირე რაოდენობით ხვდება ჰაერის უანგბადი, რის გამოც მცირდება დაუანგვითი პროცესები. ღვინოზე უანგბადის მოქმედების შესამცირებლად მიღებულია აგრეთვე ღვინის ბორლებში ჩამოსხმა.


მიუხედავად იმისა, რომ ასეთ პირობებში უანგბადის მიწოდება მინიმუმამდეა შეზღუდული, ღვინოში კიდევ რამდენ-სამე ხანს მიმდინარეობს დაუანგვითი აროცესები მასში არსებული ზეუანგების ხარჯზე. ღვინის შენახვის ამ მომენტიდან იწყება მისი დაძველების სტადია. იმის გამო, ომ დაძველების სტადიაში ღვინოში ჰაერის უანგბადის მიწოდება შეზღუდული უნდა იყოს, უმჯობესია იგი მოვათავსოთ დიდ კასრში, ბუტებში ან ჰერმეტულ ცისტერნებში.

ღვინის განვითარების სტადიათა შორის დაძველების სტადია ყველაზე უფრო ხანგრძლივია. ნაკლებ ექსტრაქტული და დიაბალუკონჰოლიანი ღვინოებისათვის იგი 4—5 წელს გრძელდება, ხოლო ექსტრაქტულ და მაღალალკოჰოლიან ღვინოებისათვის კი 10—12 წელს. ამ სტადიაში ღვინოში მიმდინარე ბიოქიმიური გარდაქმნები სწარმოებს უმთავრესად ღვინის შემაღებელი ნივთიერებების ხარჯზე.

დაძველების სტადიაში ადგილი აქვს სპირტისა და მეუვების ურთიერთმოქმედების, რის შედეგადაც ღვინოში წარ-



მოიქმნება არამქროლავი მჟავა ეთერები. ღვინოში როგორიცაც ეთერების წარმოქმნა ემორჩილება მოქმედ მასათა კანონს და შესაძლებელია შემდეგი ტოლობით გამოიხატოს:



სადაც K_c არის მჟავა;


C — სპირტი;

Θ — ეთერი;

B — წყალი;

K — წონასწორობის კონსტანტა.


ღვინო ყველაზე მეტი რაოდენობით შეიცავს ეთილის სპირტს, ხოლო მქროლავი მჟავებიდან კი ძმარმჟავას. ამიტომ ღვინოში არსებული ეთერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ძმარმჟავა ეთილის ეთერი, რომელიც შემდეგი რეაქციის შედეგად წარმოიქმნება:




ეთერიფიკაციის რეაქციის შსველობაზე დიდ გავლენას ახდენს ტემპერატურა. ჩვეულებრივ ტემპერატურაზე ეთერიფიკაციისათვის რამოდენიმე წელია საჭირო, მაშინ როდესაც 100° ტემპერატურაზე იგი რამოდენიმე დღეში მთავრდება, ხოლო 200° ტემპერატურაზე კი რამოდენიმე საათში. ეთერიფიკაციის რეაქციები წარმოადგენენ მოლეკულარულ რეაქციებს, რომლებშიც მონაწილეობენ მჟავების არადისოცირებული მოლეკულები.

ღვინოში არსებული პოლიმჟავები, იმისდა მიხედვით, თუ კარბოქსილის ($COOH$) რამდენი ჯგუფი იღებს მონაწილეობას რეაქციაში, წარმოქმნიან მჟავე ან საშუალო ეთერებს.

შ. რიბერო-გაიონის მიხედვით ღვინომჟავამ ეთილის სპირტან ურთიერთქმედებისას შეიძლება მოგვცეს შემდეგი ორი ეთერი:





პირველ შემთხვევაში, როდესაც ორგანული შედის ღვინო-შეავას ერთი კარბოქსილის ჯგუფი, მიიღება მონოეთერი ანუ ეთილღვინომჟავა, ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც ორგანული შედის ღვინომჟავას ორივე კარბოქსილის ჯგუფი, მიიღება დიეთერი ანუ საშუალო ეთილღვინომჟავა ეთერი.

ღვინოსათვის ღვინოში შემდეგ მჟავათა რთული ეთერებია ნაპოვნი: ძმის, ერბოს, იზოერბოს, კაპრინის, კაპრილის, რძის; ორფუძიან მჟავათა ეთერებიდან ნაპოვნია: ქარვის, ღვინის, ვაშლის მჟავების მჟავე და საშუალო ეთერები.

ღვინოში ეთერების შემცველობა დამოკიდებულია ღვინის შემადგენლობასა და ხნოვანობაზე. ე. რიბერო-გაიონის მონაცემებით ახალგაზრდა ღვინოებში იგი შეადგენს 2—3 მექვ/ლ-ზე, ხოლო ძველ ღვინოებში 9—10 მექვ/ლ-მდე აღწევს.

ღვინის დაძველების სტადიაში თანდათანობით ყალიბდება აგრეთვე ღვინის ბუკეთი, რომლის წარმოქმნის ბუნებაც, სირთულის გამო, კიდევ არ არის სათანადოდ. შესწავლილი.

ნაზი ღვინოებისათვის დამახასიათებელი სიძველის ბუკეთი ვითარდება ღვინის ჰერმეტულად შენახვის დროს. ბუკეთის წარმოქმნა განსაკუთრებით შესამჩნევია ღვინის ბოთლებში დაძველებისას. უფანგბადო პირობებში შენახვისას ღვინოში სჭარბობს აღდგენითი პროცესები, რაც განაპირობებს ბუკეთის წარმოქმნას. ამასთან, ძველი ღვინის აერაციის შემთხვევაში ადგილი აქვს ბუკეთის შემცირებას და შეცვლას. აქედან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ ბუკეთის წარმოქმნა დამოკიდებულია ღვინოში არსებულ ისეთ ნივთიერებებზე, რომლებიც მხოლოდ აღდგენილ ფორმაში ხასიათდებიან სასიამოვნო არომატით.

ღვინის დაძველების დროს წარმოქმნილი ბუკეთოვანი ნივთიერებები არ ჯგუფად იყოფა:

1. ბუკეთოვანი ნივთიერებანი, რომლებიც წარმოიქმნებიან ლვინის შემაღენელი არამქროლავი კომპონენტებისაგან. ასეთ ნივთიერებებს ეკუთვნის ალდეპიდები, რომლებიც წარმოიქმნებიან ლვინის დაძველების დროს უანგბადის მოქმედებით და აგრეთვე ამინომჟავების დაუანგვითი დეგრადაციით. ვარაუდობენ აგრეთვე, რომ ალდეპიდების ბაზაზე წარმოიქმნება შესაბამისი ცეტალები;

2. ბუკეთოვანი ნივთიერებანი, რომლებიც წარმოადგენენ ყურძნიდან ლვინოში მოხვედრილი ეთერების შემდგომი გარდაქმნას პროდუქტებს.

როგორც აღნიშნავენ, ლვინოში მიმდინარე ალდგენითი პროცესები დამოკიდებულია ტემპერატურაზე. მაღალ ტემპერატურაზე სწრაფად მცირდება ლვინოში არსებული უანგბადის რაოდენობა და მისი დაუანგვა-ალდგენითი პოტენციალი. ასეთ პირობებში კი ლვინის ბუკეთი უკეთესად ვითარდება. სწორედ ამით არის გამოწვეული, რომ ბოთლებში ლვინის დაძველების დროს ზაფხულში უფრო ინტენსიურად ვითარდება ბუკეთი, ვიდრე ზამთარში.

საწარმოო პირობებში შესაძლებელია საგრძნობლად დავაჩქაროთ ხარისხოვან ლვინოებში ბუკეთის წარმოქმნის პროცესი. ამისათვის საჭიროა ბოთლებში ჩამოსხმული ლვინის დაძველება ვაწარმოოთ მაღალ ტემპერატურაზე – 25-28 გრადუსზე.

ლვინის დაჭლა

ნორმალურ პირობებში შენახული დაძველებული ლვინო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინარჩუნებს დაძველების სტადიაში შეძენილ საუკეთესო თვისებებს. სუფრის ლვინოები დაძველების სტადიის დამთავრების შემდეგ 25—30 წლის განმავლობაში და ზოგჯერ მეტ ხანსაც ინარჩუნებენ სიძველის ბუკეთსა და ნორმალურ ორგანოლეპტიკურ თვისებებს. მაგალითად, თბილისის № 1 ლვინის ჭარხნის მდიდარ კოლექციაში ინახება 1892 წელს საფერავდან დაყენებული ლვინო, რომელსაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ძველი ლვინის საუკეთესო თვისებები.

შემაგრებული და სადესერტო ღვინოები კიდევ უფრო მეტ ხანს ინარჩუნებენ ძველი ღვინისათვის დამახასიათებელ ნიშნებს. ცნობილია სადესერტო და შემაგრებული ღვინოები, რომელთაც 100 წლისა და უფრო მეტი ხნის განმავლობაში არ დაუკარგავთ წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ბუკეთი და გემო.

მიუხედავად ამისა, საბოლოოდ, განსაზღვრული დროის გავლის შემდეგ, ყველა ღვინო განიცდის დაშლას. ღვინიდან გამოიღექებიან საღებავი და მთრიმლავი ნივთიერებანი, იშლება ბუკეთი და ირლვევა ის ჰარმონია ღვინის შემაღენელ კომპონენტებს შორის, რომელიც ამა თუ იმ ღვინოს ახასიათებდა, როგორც საუკეთესო სასმელს. ასეთ შემთხვევაში მეღვინეები ამბობენ, რომ ღვინო მოკვდა.

შ 0 6 1 პ ს 0

83-

აკტორისაგან	3
ღვინის წარმოქმნის დროს მიმდინარე გარდაქმნები	4
ღვინის ფორმირების დროს მიმდინარე გარდაქმნები	7
ღვინის დავარგების დროს მიმდინარე გარდაქმნები	19
ღვინის დაძველების დროს მიმდინარე გარდაქმნები	33
ღვინის დაშლა	36

რედაქტორი შ. სულაბერიძე
მხატვარი ვ. ალიმბარაშვილი
ტექნიკური მ. ლლონტი
კორექტორი ა. არობელიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/VII-61 წ. ქაღალდის
ზომა 84X108^{1/32}. სააღრიცხ.-საგამომცემლო თაბახი
1,57. ნაცვლი თაბახი 2,05. საავტორო თაბახი 1,5.
ეუ 00495 ტირაჟი 5 000 მეცნ. № 783
ფასი 6 კაპ.

საქ. კპ ც კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ Издательства ЦК КП Грузии.
Тбилиси, ул. Ленина № 14.



Канделаки Тамази Гуриевич

Процессы, происходящие во время старения вина

(На Грузинском языке)

Государственное издательство

„Сабчота Сакартвело“

Тбилиси

1961

725/623



0.00000000
0.00000000

